ნათია ქორქაშვილი

Powislanski University, პოლონეთი

"ერაზმუს +" - ის მობილობის ფარგლებში 2023 წლის მაისში ვეწვიე პოვისლანსკის უნივერსიტეტს, "საერთაშორისო კვირეული 2023"-ის ფარგლებში სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ერთად.

საერთაშორისო კვირეული მიმდინარეობდა 5 დღის განმავლობაში და მოიცავდა სხვადასხვა აქტივობას. მათ შორის: უმაღლესი განათლების მე-5 საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობას, სადაც წარვადგინე პრეზენტაცია კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ. გავიცანი სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენელი და გავცვალეთ ინფორმაცია შემდგომი თანამშრომლობის მიზნით. ასევე, დავესწარი მე-10 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას "FACES OF PROSPERITY" და მე-5 საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციას, რომლის ფარგლებშიც მოვისმინეთ და ვიმსჯელეთ ძალიან საინტერესო კვლევების შესახებ.

ზოგადად, ამ ვიზიტით გავეცანი არა მარტო უნივერსიტეტების მუშაობის პრინციპებსა და სპეციფიკას, არამედ აღნიშნულ მობილობაში ჩართული ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებს. მასპინძელი უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევდა ყოველდღიურ კულტურულ აქტივობას, რამაც საერთაშორისო კვირეულის 5 დღე კიდევ უფრო მრავაფეროვანი და საინტერესო გახადა.